

ხელნაწერი: ... (H-403), 1818 წ.

მინაწერები

1 გვერდი

აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზაჲ ჟამსა ამა
ამაღლებულისა საქართუჭლოს მპყრობელისა
უფლისა უფლისა ვახტაგისსა:
შრომითა და წარსაგებელითა მისივე მპყრობელისათა:
გაიმართა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შკლის მიქაელისათა:
ქალაქ ტფილისს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა
დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა:

2 გვერდი

გასინჯეთ ბეჭდის იგავი: მსმენნო ნუ გაქუან წყინება:
ფჰსალმუნთ ქნართ ცემა დავითის: თუმც რაზედ იყოს სმინება:
ქრისტესა მოასწავებდა: ვინ დაკსნა ცრემლთა დინება:
დავითის ტომით ჯორცთ შესხმა: თუ ვითარ მქსნელმან ინება:

ამ შურდულითა დავით ჰსძლო: გოლიათს არ თუ ზავებდა:
ლომნი ტახტისა სოლომონს: შვდს სიბძნეს მოასწავებდა:
მქსნელი ვინ აღთქმას უდებდა: ქმნულთ ეგრე გაუთავებდა:
ვით ჰსძალედვა და შეჭგვანდა: მის მტერზრდ ეგრე დავებდა:

3 გვერდი

როს მხსნელმან სათნო იჩინა: ქალწულის მუცლად ღებანი:
მით უყო წარმართთ ყაჲთა: ამ საქმით განათლებანი:
ჯუარცმით გამოკსნით ყოველთ სულთა: იყო მის ქმნისა ნებანი:
განკურნაწყლულნი უწამლო: რომელი გვჭირდა სნებანი:

ოდეს უქსოვა ქალწულმან : მქსნელს კუართი ქსელით გდებული:
იგი ელიოზს წილად ხუდა: მოვიდა ქართლად რებული:
სად არის სახლად უფლისად: სუჭტი ცხოველი გებული:
აქა ძეს ჩუჭნთვს სულითა კსნად: კურნებად იმედებული:

ქართუჭლთ მეფენი დავითის : გვარ ტომით მოდგამობითა:
თვთ ყოვლად წმინდა უბიწო: არის მათ ძირთგან შობილთა:
ვართ მისთვს წილად ჯდომილნი: და მისის იმედობითა:
ამად არ ვიქმნათ უხილავთ: მტერთაგან ლახვარ სობითა:

სტამბას ბეჭდავდენ ფრანგნი და: რუსნი და მერმე ვლახელნი:

აქ არსად იყო აროდეს: ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი:
გიორგის მეფობაშიგან: ვახტანგ აკვირვა მსახველნი:
ამ ბეჭვდამ ახლა მის გამო: გაცუდნა ყოვლნი მნახველნი:

4 გვერდი

„მადიდებელი წმიდისა სამებისა მე გუარტომობით ძირ მდგომობით დავითიანმა ძის ძემან საჯელ განთქმულის მეფის ვახტანგისამან ქებულის მეფის არჩილისმან და დიდად სახელოვანის ქართუჭლოთ მეფისა გიორგისამან და ძემან დიდად პატიოსნის ლევანისამან ან მპყრობელმა საქართუჭლოსმან ვახტანგ მოვიყუანე მესტანზე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა საკსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის სალხინებელად სულისა ჩემისად და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულისა დედოფლის რუსუდანიისა და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად:

95 გვერდის აშიაზე

ავდეგ მსხდომნი ნადიმობით: აემზადნეს ასაყრელად:
* შადი უთხარ ნუ ასდგებით: მოვალ ხანსა დაუზმელად:
გამოველ და საწოლს შეველ: მონა დადგა კარსა მცველად:
გული მივეც თობა ქნათა: აუგისა საკრძალველად:
დაბლა აშიაზე მიწერილია შემდეგი:
„ შარდნი მწერლისაგან არის შემცდარი, შადრდი არ უნდა, შადი უნდა, შადი ნაქსოვსა ჰქვიან, ვითამც სავაჭროდ შევიდა და მუნ მსხდომარეთა მისთან ამისთჳს უთხრა ნუ ასდგებითო.“
ამ მინაწერის დაბლა არის ინიციალები მიწერილი d. T.

ხელნაწერში გვხვდება აშიაზე მიწერილია სხვადასხვა სტროფი. იმ ადგილას, სადაც აღნიშნული სტროფები უნდა იყოს აწერია აქ უნდა. ასეთი სტროფები გვხვდება შემდეგ გვერდებზე:

29 გვერდი

მეფემან ბრძანა ვინ არის, უცხო პირად და ტანადო
უბრძანა ერთსა მონასა, მიდით ფიცხლად და ჯანადო
უთხარ გიბძანებს ვერ გიცნობს, არ ჩემთა ლაშქართ თანადო
ვინცა ხარ მოდი წინაშე, არ შორით ჩვენდა მზერადო

35 გვერდი

თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელი ჳმელთა მვლელად
მას ნახვიდა სხუცა ვინმე გამოჰსჩნდების მასწავლელად
თურამ ეშმა გჩუენებია, ლხინთა შენთა შეცამშლელად
სევდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუცლელად

45 გვერდი

მოუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყუარულსა
ცხენლი ცრემლი ასოვლებდის ნარგიზთაგან ვარდსა ზრულსა
ვერ ვაჩენდი აქანამდის ჳირსა ჩემგან დაფარულსა

აწ მიზრძანა საიმედო ამად მხედავ მხიარულსა

74 გვერდი

უკაცოდ ყოფნა გახელებს ჭირითა მეტის მეტითა
შენ კაცთა ნაცუღად ნადირთა ახლავ ცნობითა რეტითა
ჰსჯობს ერთი კაცი გაიხლოს ილხენდე მისის ჭურეტითა
ღ-თმან ჰქნას ლხინად გეცუალოს აღარ რონებდე ხეტითა

137 გვერდი

მე დავშუჭ ვითა წესია, საურავ გარდახდილისა
შინა წამოველ მაშურალი წოლ მომდომოდა ძილისა
მონა მოვიდა მომართო წიგნი ასმათის ტკბილისა
აღრე მოდიო გიბრძანებს მჰსგავსი ალვისა ზრდილისა

144 გვერდი

შეველ ფიცხლავ შევეკაზმე: ცხენსა შევჯე შეკაზმული:
ას სამოცი კარგი მოყმე: ჩემსა თანა ხანდაზმული:
წამომყუჭს და წაცავედით: კართა გარე დარაზმული:
ზღვს პირს მიველ ნავი დამხუდა: მენავემან მნახა ზმული:

168 გვერდი

ყმა ახლოს უჯდა მეფესა: ისმენდა ეუბნებოდა:
ბაგეთა გასჭური ბროლ ლალი მართ კბილი ელვა კრთებოდა:
ახლოს სხდეს ღირსნი ისმენდეს: შორს ჯარი დაიჯრებოდა:
უტარიელოდ ხსენება: არ ვისგან იკადრებოდა:

322 გვერდი

ყოვლგნით ირგვლივ მომტკიცული: არსით იყო ყოლ ნაპირი:
სამთა კართა ცხრა ათასი: ზედან ჰსცვიდა მოყმე გმირი:
შუა ციხე ამართული: კლდე კეკლუცი არ დუხჭირი:
გვირაბითა შესავალი: ახვრეტილი ვითა სტვირი:

367 გვერდი

თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა:
თქმული ბატონის შვილისა გამგებლის პატრონისა ვახტანგისა:
მე ვსწერ ძმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა გამგებელი ქართლის ვახტანგ წიგნისა:
ამას ამისთვის უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ
სთარგმნოდეს: მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაკოსა:
მსგავსად თვალთა რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი: და ჭიქასა ქვად პატრონისად საოელ
სდებენ და მარგალიტთა მძივად პატივ სცემენ: და ესეცა ვთქუათ მსგავსად ჭიისა მის რომელი
არს გვამთა მფრინვლის ათა გემოვნებისა და განძლომისა თვისისათვის სჰამს მფრინველსა მას:

ჭამითა მით მასცა მოკლავს და თვტცა მოკუდების: აწ მე ამისთვის დავშვერ ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან საცნაურ არს რომ ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად: და რადგან ქრისტიანი იყო არცა აღუდგებოდა ესე ოდენსა

368 გვერდი

ხანსა ამას წინ რომ ელი იტყვს რომელმან მიხედოს დედაკაცს გულის თქმად შემდგომითურ: მაგრა ამად თქუ თუცა ეთქუა წმიდათა წერილთაებრ ვინ გაუშვებდა გრიგოლის და ოქროპირისა და სხვასა ესე ვითარსა და ამას შეიყვარებდა: აწ ამის მიზეზიზისათვის ესე თქუა უსწავლნი და უმეცარნი სოფლის საშველად და სიბრძნესდ შერაცხს: და მით სიხარულად შეიტკობს : ხოლო რომელნი არიან მეცნიერ სცნობენ ესრეთ ვითარ განიმარტვის და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი; და ამით ნამუშაკუარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება: და აწ ესე მოისმინეთ ვეფხის ტყაოსანი მე ასე მითარგმნია: და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე თქვენცა სთარგნეთ: მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია: ერთი მე ასე მივხვდი და მითქვამს: რაც რუსთველისაა იმას გარდა არა მითქვამს რა : და ვინც გინდა იმან სთარგმნეთ: სხვის ნათქვამს როგორც ჰსთარგმნით ყუელა ეკადრება მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს: აწ ასრე ვსთარგმნე ვითა მას მთქმელსა ეთქუა: მე თარგმანი მრავალი დამირჩა არათუ ამისთვის თუცა ესე ვიპოვნე: მაგრამ ერთად მოუცლელობისათვის: მეორედ გზა და რიგი გამირკუევი

369 გვერდი

ვისცა თარგმანი გინდათ ასეა ამისი თარგმანი: და აწ თქუნ ამ გზით დარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთ: თუცა სულ მეთარგმნა სხვა რას იქმოდა: და თუცა ვინმე ამ თარგმანისას ამას ბრძანებს არა ისრე არისო: მე უგბილობაში ჩამომირთმევი: ამისთვის თავად რუსთველის დროს ქალი ბატონად დაამგვარი მეძაობის სიტყუა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა: და მეორედ ორი კათალიკოზი რამთონი სამღვდელო წმიდა და ღირსნი იყუნენ და ამთონი უდაბნო აშენებული იყო: ისინი თუცა რუსთველს მოენდომებინა როდის აქნევ ინდებდენ და ნათქვამსა დაუხვეველს როდის გაუშვებდენ: თვარამ ახლა გასინჯეთ ბერი უფრო ცოტა არის და მაშინდებობა და ახლანდებობა შორიშორ არის: თუცა ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს დასაწერად კიდევ არ დაუშალონ და კიდევ არ უწყინონ: მაგრამ თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს თარგმანი ხომ ასრე სჯობს: ღთისა და კაცს წინ მე ასე მიჯობინებია და ამას იქით მკითველთ იცით: მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ ქვეყანის უფროსი ავის დამშლელი ჳამს და ამად დავშვერ:

ხელნაწერის ბოლოს

მანოელ ჩარკვიანის მიერ აღწერილი სტამბის ვეფხისტყაოსანიდამ გადმოწერილი უმეტნაკლებოდ, ჩაკითხულია და გამართულია დავით რექტორი, ივლისის ით წელსა ჩყიწ.

მინიატურების მინაწერები

140 გვერდი

როდესაც დაჰკარგა მაშინ თავ გაგლეჯილი ასმათ მოვიდა ტარიელთან.